დღეს ნომერშია:

- საბჭოთა ფეხბურთელები — უცხოეთში — 1-ლი გვ.
- ცსკა ახალგაზრდებს ცდის — მე-2 გვ.
- საქართველოს ჩემპიონები სასტენდო სროლაში — მე-3 გვ.
- ნაფალია კუჩინსკაია — ეკრანზე — მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№ 240 (3724)

10 დეკემბერი, სამშაბათი. 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

სურათზე: თბილისის დინამოელი ზ. საკანდელიძე უტევს ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ამ გუნდების შეხვედრის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

ეხლიდ ეგვეგი

● **ბერლინი, 8 დეკემბერი.** აქ დამთავრდა ჭაბუკ ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — „ოლიმპიური იმედები“. შეჯიბრებაში 6 ქვეყნის იუნიორები მონაწილეობდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს გდრ-ის წარმომადგენლები — 15:10. მათ ქულათა მაქსიმუმი (10) მოაგროვეს და I ადგილი დაიკავეს.

● **რიგა, 9 დეკემბერი.** რიგელმა მოკრივემ, დინამოელმა ბ. იასინსკიმ არნოლდ კნისისს სახელობის თასი მოიხვეჭა. კნისისი ომამდე რვაჯერ იყო ლატვიის ჩემპიონი და ორჯერ ბალტიისპირეთის ჩემპიონიც. გასდა მსუბუქ წონაში. 1942 წლის დეკემბერში სერჟანტი-არტილერისტი კნისისი სასიკვდილოდ დაიჭრა ფაშისტებთან ბრძოლაში. წლევანდელ, XIX მემორიალში 70-ზე მეტმა მოკრივემ მიიღო მონაწილეობა. მსუბუქ წონაში მოასპარეზე იასინსკიმ ფინალში დამარცხა პრიზის შარშანდელი მფლობელი, თანაქალაქელი ი. ტეტერინი.

● **სოფია, 9 დეკემბერი.** აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ბულგარეთის ერთ-ერთ საუკეთესო საკლუბო გუნდთან — ადგილობრივ „ლოკომოტივთან“. გამარჯვება წილად ხვდათ მოსკოველებს — 2:1.

● **მადრიდი, 9 დეკემბერი.** ესპანეთის ამ კუნძულზე მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეთაგან გუშინ მხოლოდ დანიელი ლარსენი და გფრ-ის წარმომადგენელი ლემანი „მუშაობდნენ“ — XII ტურში თაეანთ გადადებულ პარტიას ამთავრებდნენ. 57-ე სვლაზე მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. და ახლა დასკვნითი 5 ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: კორჩნოი — 10,5 ქულა, სპასკი — 9,5, პეტროსიანი — 8,5, ლარსენი — 8, მატანოვიჩი — 6,5, გლიგორიჩი, ივკოვი, ბენკო და პომარი — 6-6, გეორგიუ და ლემანი — 5-5, ბირნი და მედინა — 4,5-4,5, კორალი, ვეზიე, ტორანი და ვესტერინენი — 4-4, კალვო — 3. დღეს, XIII ტურში პეტროსიანი ეთამაშება პომარს, სპასკი — ლემანს, კორჩნოი — ბენკოს, ლარსენი — ტორანს. (პეტროსიანისა და სპასკის პარტია ყაიმით დამთავრდა).



სურათზე: საქართველოსა და გდრ-ის ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი. ი. ფხაკაძესთან სამმა მეურვემაც ვერაფერი გაიყოს და თბილისელი გადამწყვეტი ტაურცნისთვის ემზადება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვ.).

ეკანიკენი ეიაგ...

◆ **ბერლინი, 9 დეკემბერი.** აქ დამთავრდა გენიალური გერმანელი მოჭადრაკის, მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის მემორიალი. I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა დ. ბრონშტეინმა (სსრ კავშირი) და ვ. ულმანმა (გდრ). III ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ა. სუეტინმა, ხოლო მისმა თანამემამულემ ე. ვასიუკოვმა IV-V ადგილები გაიყო უნგრელ ლ. ბარკაისთან. ამ ტურნირის მონაწილე მეოთხე საბჭოთა დიდოსტატმა ა. ზაიცევმა VI-VII ადგილები გაიყო.

◆ **მექიკო, 9 დეკემბერი.** მექსიკის მრავალდღიან საერთაშორისო ველოსრბოლაში ყველას აჯობა ომსკელმა ვ. სოკოლოვმა. გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა.

◆ **ბერლინი, 9 დეკემბერი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ყინულის ხელოვნურ ბილიკზე გამართულმა შეჯიბრებამ, რომელშიც საბჭოთა მოციგურავეებმაც მიიღეს მონაწილეობა. 500 და 3000 მეტრზე სწრაფრბენაში ბადალი არ ჰყავდა მოსკოველ ვ. კაპლანს — 42,5 და 4.40,7. ქალთა სპრინტში ფინიშთან ყველაზე სწრაფად მიიჭრა ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ტიტოვა — 46,5. ლ. სკობლიკოვამ 3000 მეტრზე რბენაში აჩვენა 5.21,2.

◆ **თეირანი, 9 დეკემბერი.** ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელთა გუნდმა დაამარცხა ირანის ჩემპიონი „პასი“ — 1:0.

◆ **ხართუმი, 9 დეკემბერი.** დონეცკის „შახტიორმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო ამხანაგური საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი „მორადას“.

◆ **ბუქარესტი, 9 დეკემბერი.** მოსკოვის „დინამოსა“ და პოლონეთის „გვარდიის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრით აქ დამთავრდა 7 სოციალისტური ქვეყნის დინამოელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. პოლონელებთან გამარჯვებით (3:0 — 15:8, 15:10, 15:4) მოსკოველებმა II ადგილი დაიკავეს. I ადგილზე გავიდნენ რუმინეთის დედაქალაქის დინამოელები, რომლებიც შარშან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს ფლობდნენ. მათს შემადგენლობაში რუმინეთის ნაკრების 5 წევრი იყო. III ადგილზეა პრაღის „რუდა გვეზდა“. ქალთა შეჯიბრებაშიც ბუქარესტის დინამოელებმა იმარჯვეს. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები, ხოლო III — პოლონელები. რუმინეთის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ მოსკოვისა და ბუქარესტის ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრა ყველაზე საინტერესო იყო, სადაც მოსკოველებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს.

მეორე გამარჯვება კამბოჯაში

პნომ-პენი, 8 დეკემბერი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს კამბოჯაში. ისინი აქ შეხვდნენ ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდს. დინამოელებმა გაიმარჯვეს — 3:0.

„მოსკვიჩები“ ავსტრალიაში მიცურავენ

1 დეკემბრის საღამოს ბომბეის თითქმის მთელი ხუთმილიონიანი მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. მრავალ კილომეტრზე აღიმართა ცნობისმოყვარეთა კედელი, რომლებიც ლონდონ—სიდნეის საავტომობილო მარათონის მონაწილეებს ხვდებოდნენ. ავტომობილიზმის ისტორიაში ამ არნახული რალის მონაწილეებმა ათი ათასი მილი, ათი ქვეყანა და ორი კონტინენტი გამოიარეს.

24 ნოემბერს ლონდონში 98 მანქანამ აიღო სტარტი და ბევრი მათგანი უკვე გამოეთიშა რალის.

ადგილი წარმოსადგენია ჩვენი მღელვარება და სიხარული, როცა ბომბეის ნავსადგურში ოთხივე საბჭოთა „მოსკვიჩი“ დავინახეთ. ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამარჯვებას — წინაა 6 ათასი ავსტრალიური კილომეტრი. მაგრამ საბჭოთა მანქანებმა პირველი ეტაპი ძალიან კარგად განვლეს. ეკიპაჟები მანქანების არც ერთ სერიოზულ დაზიანებას არ შეუფერხებია. ეს „მოსკვიჩების“ მაღალ ხარისხზე მეტყველებს. საკმარისია ითქვას, რომ ლონდონში სტარტი აიღო ფორდის კომპანიის 30 მანქანამ, ბომბეიმდე კი მხოლოდ 14 ჩავიდა. ფირმა „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშენის“ 19 მანქანიდან ინდოეთის ნავსადგურს მხოლოდ რვამ მიაღწია.

გზაში ავტორალის ყველა მონაწილემ მიიღო საჯარიმო ქულები. 14 ეკიპაჟს 500-ზე შუტი ასეთი ქულა აქვს, ორს — 10 ათასზე მეტი. საბჭოთა „მოსკვიჩებიდან“ ჯერჯერობით ყველაზე კარგად აქვს საქმე ს. ტენიშევის მანქანას — 73 ქულა. უ. ივვამ 151 ქულა მიიღო, ა. იპატენკომ — 250, ვ. შჩაველევმა — 476.

4 დეკემბერს მანქანები ავსტრალიურ ხომალდზე აიტანეს და პერტში წაიღეს, სადაც 14 დეკემბერს სტარტი მიეცემა ამ საკონტინენტთაშორისო საავტომობილო მარათონის ბოლო ეტაპს.

დასვენების წუთებით ვისარგებლე და ინტერვიუ ჩამოვართვი საბჭოთა მანქანების კომანდორს ა. იპატენკოს.

— ინდოეთის მიწაზე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს, — თქვა ა. იპატენკომ. — მარათონის ამბავი ამ ქვეყნის საზღვრიდანვე ყოველ დასახლებულ პუნქტში იცოდნენ და დიდ ინტერესსაც იჩენდნენ. ინდოელები ჩვენს მანქანებს განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ და დავრწმუნდით, რომ ამ ქვეყანაში საბჭოთა ხალხს ბევრი გულწრფელი და კარგი მეგობარი ჰყავს. შეიძლება სიდნეიში პირველები ვერც ჩავიდეთ, ვინაიდან ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს. ჩინეულ უცხოურ მანქანებს სახელგანთქმული სპორტსმენები მართავენ. სხვათა შორის, მათში მსოფლიო ჩემპიონებიც არიან. მიუხედავად ამისა, ჩვენი გუნდის ორგანიზატორმა „ავტოექსპორტმა“ მსოფლიოს ყველა მსხვილი საავტომობილო ფირმა გამოიწვია შეჯიბრებაში. „მოსკვიჩებმა“ — ჩვეულებრივმა სერიულმა მანქანებმა უძიელესი ათი ათასი მილი დაფარეს. მათ დაამტკიცეს, რომ მარტო საიმედო მანქანები კი არ არიან, არამედ ხარისხითაც არ ჩამოუვარდებიან უფრო მაღალი კლასის საუკეთესო დასავლურ მანქანებსაც კი. ჩვენი ეკიპაჟები თავს ჩინებულად გრძნობენ და მზად არიან გააგრძელონ ეს უჩვეულო მარათონი.

ა. კალუგინი,
აას-ის კორესპონდენტი ინდოეთში.



 სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

რევანშის ფსიქოლოგიური მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 84:57 (40:22).

„დინამო“: სხიერელი (22), მოსეშვილი (19), საკანდელიძე (16), უგრეხელიძე (10), ჭორჭია (6), ლეჟავა (5), ქარაბაკი (2), მაღალაშვილი (2), ჩიხლაძე (2), ნარიმანიძე.

„სპარტაკი“: ივანოვი (17), ბიკოვი (16), ფიოდოროვი (10), ბელოვი (5), შტუკინი (4), სკვორცოვი (3), გრიგორაშენკო (2), ლეონოვი.

მსაჯები: ა. კოკარევი (მოსკოვი) და დ. დავთიანი (ერევანი).

ჩემპიონის ბოლო ორმა კალენდარულმა მატჩმა ერთხელ კიდევ ცხადყო ძველი ჭეშმარიტების ძალა: თბილისის „დინამო“ განწყობის გუნდია და მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. რა დაგვავიწყებს ერთ სიურპრიზს, რომელიც გუნდმა 6 დეკემბერს შემოგვთავაზა! თუმცა ჩემპიონი მეორე დღესაც არანაკლები სენსაციის ავტორი გახდა.

დიახ, ჩვენთვის მოულოდნელი იყო ლენინგრადის „სპარტაკთან“ მარცხი და ისიც 20 ქულით, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, არც ასეთ რევანშს ველოდით, რევანშს, რომელიც სასტიკ შურისძიებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტულ ანგარიშსწორებას. პირველ მატჩში „დინამომ“ თავისიანები არ დაინდო, მეორეში — მეტოქე.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ რევანშის მნიშვნელობა დიდია, რადგან მან გუნდისა და მისი მოთამაშეების მორალურ მზადყოფნას გაუსვა ხაზი. მძიმე მარცხის შემდეგ მობილიზების ასეთი უნარი „დინამოს“ კარგა ხანია არ გამოუმჟღავნებია.

ამ შეხვედრაში მასპინძლებს გამოსდიოდათ ყველაფერი, პირველ ყოვლისა კი დაცვა. მოსეშვილმა საამედოდ ჩაკეტა ლენინგრადელთა სნაიპერი ბიკოვი, სხიერელმა — ივანოვი და სპარტაკელთა შეტევის მექანიზმი ერთბაშად გამოითიშა. „დინამომ“ წარმატებით გადაჭრა „მეორე სართულის“ საკითხიც — ორივე ფარს განუკითხავად დაეპატრონა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო: მთელი ძალით ამოქმედდა თავდასხმა და მისი რეაქტიული ავანგარდი — საკანდელიძე...

შეხვედრის ბედი პირველსავე ტაიმში არ იწვევდა ეჭვს. შესვენების შემდეგ ლენინგრადელები თამაშობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ კალათბურთში არ წყდება ბრძოლა აშკარა უპირატესობისთვის.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: სხიერელი ათავსებს ბურთს ლენინგრადელთა კალათში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სხვა შეხვედრები

7 დეკემბერს გაიმართა მორიგი ტური.

ცსკა — ასკ (რიგა) 78:59. ოლიმპიელები ჯერჯერობით ფორმაში არ არიან და ამიტომ ცსკა-მ აქცენტი ახალგაზრდებზე გადაიტანა. როგორც ხედავთ, ცდამ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, არმიელებს ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება ამ ჩემპიონატში ჯერ არ ჰქონიათ.

„შალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) 57:53. მეოთხე ქულა „შალგირისმა“ გაჭირვებით აიღო. ამაში „ბრალი მიუძღვის“ დინამოელთა ტანდემის (პეტროვი — ნიკიტინი) შეთანხმებულ თამაშს. ლიტველებმა მეორე ტაიმში მიზნად დაისახეს ტანდემის დარღვევა და მიაღწიეს კიდეც საწადელს (5 პერსონალურისთვის მოედანი დატოვა ნიკიტინმა).

„კალევი“ (ტარტუ) — „სტრო�ტელი“ (კიევი) 74:58. უკრაინელმა კალათბურთელებმა წინადღის გამარჯვები ფაქტიურად შეასრულეს გეგმა: სხვის მოედანზე 50 პროცენტი, საკუთარზე — 100. ვინც ამ „სისტემის“ ერთგული დარჩება ბოლომდე, შესაძლოა ჩემპიონობასაც მიაღწიოს.

ვეფ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 91:70. ყაზახეთის გუნდი ჯერჯერობით ქულებს არიგებს. ვეფ-მა სიამოვნებით მიიღო ალმაათელთა მორიგი ძღვენი და სატურნირო ცხრილში მესამე ქულა ჩაიწერა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 დეკემბრისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	4	4	0	288—248	4
ცსკა	4	4	0	286—243	4
„შალგირისი“ (კაუნასი)	4	4	0	302—265	4
„დინამო“ (თბილისი)	4	3	1	302—282	3
ვეფ (რიგა)	4	3	1	303—263	3
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	4	2	2	269—274	2
„სტროitელი“ (კიევი)	4	2	2	264—268	2
„კალევი“ (ტარტუ)	4	1	3	281—292	1
„დინამო“ (მოსკოვი)	4	1	3	245—261	1
ასკ (რიგა)	4	0	4	261—310	0
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	4	0	4	230—261	0
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	4	0	4	283—344	0



აქტუალური პრობლემა

კიევი, 8 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორების — ადგილობრივი არმიელებისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ პირველ შეხვედრას არც ისე ბევრი მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივრებმა, როგორც ჩანს, მატჩის ბედი წინასწარვე არმიელთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს და იქვე მახლობლად, ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირს მიაშურეს. რა მწარედ მოტყუვდნენ ამ აჩქარებისთვის!

ჩვენთვის, მართალი გითხრათ, მოულოდნელი გამოდგა „ბურევესტნიკის“ თამაში. გუნდი შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაზრდილა. დარწმუნებული ვარ, წლეულს იგი ბევრ მეტოქეს გაუფუჭებს ხასიათს. პირველ მატჩში კიევის არმიელებს მან რამდენიმე უსიამოვნო წუთი განაცდევინა. „ბურევესტნიკს“ შეეძლო კიდეც ამ შეხვედრის მოგება, თამაშის დამთავრებამდე 13 წამით ადრე ლომაძისთვის ნერვებს რომ არ ემტყუნა. თბილისელმა არახელსაყრელი პოზიციიდან შეუტია კალათს, მაშინ, როცა მშვიდი, დამიზნებული სროლისთვის დრო საკმარისი ჰქონდა.

ამ დღეს უშეცდომოდ ითამაშა კოვალენკომ — „ბურევესტნიკის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა და შეტევის ლიდერმა. მის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდნენ ოკიანიაკიცა და სუშაკიც. კოვალენკო განუკითხავად ბატონობდა ორივე ფარის ქვეშ. და ამაში იყო „ბურევესტნიკის“ სიძლიერე. მართალია, მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 61:59 (31:31), მაგრამ შეხვედრა რომ სხვაგვარად დამთავრებულიყო, არ გავვიკვირდებოდა. „ბურევესტნიკი“ ამ დღეს გამარჯვების ღირსი იყო.

მეორე შეხვედრაში არმიელებმა გაითვალისწინეს წინადღის შეცდომები. სტუმრები კი, პირიქით, თამაშობდნენ ზერელედ, უყურადღებოდ. პირველმა მატჩმა მათ დიდი ენერგია წაართვა. და მაინც, გამარჯვების მიუხედავად (65:51), ვერცხლის პრიზიორმა ვერ გადაჭრა კოვალენკოს პრობლემა, რომელიც, ვფიქრობ, წლევანდელ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური იქნება.

ო. გუჩმა.

* * *

სურათზე: ცსკა-სა და თბილისის „ბურევესტნიკის“ შეხვედრის მომენტი. მეტოქეთა კალათს უტევს ი. ლეჟავა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

- **როცა მთელი გუნდი მონდომებით თამაშობს**
- **ლიდერობენ: ასკ (კიევი), ცსკა და „შალგირისი“ (კაუნასი)**
- **ს. კოვალენკოს ვერაფერი მოუხერხეს**

დელეგატები გულახდილად ლაპარაკობდნენ

ღირსეულად შევხვდეთ ლენინის დაბადების 100 წლისთავს, შთავიპოვოთ წარმატებები მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში, — ასეთი დევიზით მიმდინარეობდა „სპარტაკის“ აჭარის XXIII საოლქო კონფერენცია.

მომხსენებელმა — საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლოგინოვმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტსმენთა რიცხვი. ახლა 48 კოლექტივში გაერთიანებულია 10 ათას კაცზე მეტი; გამრავლდა სექციები; მომზადდა ერთი საერთაშორისო კლასის ოსტატი, 6 სპორტის ოსტატი, 98 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 3000-ზე მეტი სპორტსმენი.

თანრიგოსანთა მომზადებისთვის ნაყოფიერად იმუშავეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა კ. გუგუშვილმა (მაგიდის ჩოგბურთი), სპორტის ოსტატმა ო. მელიამ (ტყვიის სროლა), ნ. რიხტოვსკაიამ (ცურვა), კ. შანეიამ (კალათბურთი), სპორტის ოსტატმა შ. ხუდოიანმა (კრივი), ლ. კაკაბაძემ (ფრენბურთი).

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ, ფიზკულტურის კოლექტივების მეთოდისტებმა და საზოგადოებრივმა ინსტრუქტორებმა ზ. შენგელიამ, კ. ბაჯგარაძემ, კ. ჩახვაძემ, შ. ტაბაღუამ, ი. პავლოვმა, ჭ. სირაძემ, ზ. აქსიონოვამ, თ. გოგიამ და სხვებმა ილაპარაკეს „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე და მათი აღმოფხვრისთვის დასახულ კონკრეტულ ღონისძიებებზე. გააკრიტიკეს ღვინისა და რძის ქარხნების, სასტუმრო „ინტურისტის“, თამბაქოს ფაბრიკის, პურის ქარხნის, სასადილოების ტრესტისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის მასობრივობას, გამაჯანსაღებელ მუშაობას, იშვიათად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები.

გააკრიტიკეს, აგრეთვე, თავისუფალი ჭიდაობის, ხელბურთის, ფრენბურთისა (ვაჟთა) და კლასიკური ჭიდაობის სექციების მუშაობა. ითქვა, რომ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში ფორმალურად ტარდება საწარმო ტანვარჯიში, არ ზრუნავენ ბაზების ქსელის გაფართოებისა და არსებულ ნაგებობათა მოვლა-პატრონობისთვის, მათი საჭირო ინვენტარით აღჭურვისთვის.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია „სპარტაკის“ საოლქო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ს. ლოგინოვი.

ო. ჭურგანიძე.

ბათუმი. (ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა





ზრუნვა ამთავითვეა საჭირო

თბილისში, სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სასროლეთში, ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მონადირეთა კავშირის, სამხედრო მონადირეთა საზოგადოებისა და „ლოკომოტივის“ ნაკრები გუნდები. „განთიადმა“ მთლიანად დაკომპლექტებული გუნდი ვერ წარმოადგინა, ხოლო „სპარტაკმა“, „ბურევესტნიკმა“, „კოლმეურნემ“ და „დინამომ“ სულ პირადეს თავი შეჯიბრებას.

სროლის ორივე სახეობის კომპლექსში გუნდური I ადგილი დაიკავა საქართველოს მონადირეთა კავშირის ნაკრებმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი. მანვე დაიკავა I ადგილი როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში.

საერთო გუნდურ პირველობაში, აგრეთვე, ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში II ადგილები დაიკავა სამხედრო მონადირეთა საზოგადოების ნაკრებმა.

ადგილიდან მსროლელთა პირად ჩემპიონატში პირველი ორი სერიის შემდეგ დაწინაურდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი („ლოკომოტივი“), რომელმაც 50-დან მხოლოდ ერთ სამიზნეს აუცდინა. მომდევნო სერიაში მან მხოლოდ 19 სამიზნე დააზიანა, რითაც კარგად ისარგებლა გ. მეფარიშვილმა (მონკავშირი) და ლიდერს დაეწია. დღის ბოლოსთვის ორივე მსროლელს 100 შესაძლებლიდან 90-90 ქულა ჰქონდა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრმა კ. დარასელიამ („განთიადი“) მხოლოდ 84 ქულა მოაგროვა.

მრგვალ სტენდზე სროლაში კარგი შედეგები აჩვენეს სპორტის ოსტატებმა ტ. ყოენტმა და თ. მატოიანმა (ორივე — მონკავშირი), აგრეთვე, სამხედრო მონადირეთა საზოგადოების გუნდის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ლ. სიმონიანმა. ყოენტმა 98 სამიზნე დაუზიანა. მას 2 ქულით ჩამორჩა მატოიანი, სიმონიანმა კი 94 ქულა მოაგროვა.

მეორე დღეს ადგილიდან სროლაში 12 სპორტსმენმა, ხოლო მრგვალ სტენდზე — 10 საუკეთესომ გამართა ფინალური ბრძოლა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისთვის.

სუსტად გამოვიდა მეფარიშვილი, რომელმაც პირველსავე სერიაში დაკარგა ლიდერობა. დარასელიამაც უხეიროდ დაიწყო (პირველ სერიაში მხოლოდ 18 სამიზნე დააზიანა), მერე კი მდგომარეობა გამოაკეთა — სან სერიაში მარტო 3 სამიზნეს აუცდინა და საბოლოოდ II საპრიზო ადგილი დაიკავა — 174 ქულა. საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მაჩხანელმა, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 178 სამიზნე გატეხა. III ადგილი ხვდა ვ. ალავერდოვს („ლოკომოტივი“).

მრგვალ სტენდზე სროლაში ლიდერობა საბოლოოდ არ შეცვლილა. I ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ყოენტმა (მონკავშირი), რომელმაც 200 შესაძლებლიდან 193 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა მატოიანმა — 184, III — სიმონიანმა — 181.

როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილიდან სროლაში ქალებიდან გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, სპორტის ოსტატმა ვ. მელიქიშვილმა (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება). II ადგილზეა ხ. ახალკაცოშვილი („ლოკომოტივი“), III — ზ. პავლოვა (მონკავშირი).

მრგვალ სტენდზე სროლაში მხოლოდ ერთი ქალი ჩაება და, რასაკვირველია, პირველობაც მას დარჩა. ეს გახლდათ ვ. ერშოვა („ლოკომოტივი“).

შეჯიბრებამ აჩვენა, რომ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“ საბჭოები ამ სახეობის განვითარებისთვის არ ზრუნავენ. მარტო „ლოკომოტივის“, მონკავშირისა და სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენებით ხომ არ შეიძლება დაკომპლექტდეს საქართველოს ნაკრები, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვას სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში.

საოცარია „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გულგრილობა რესპუბლიკური ტურნირებისადმი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა თუ ამთავითვე არ იზრუნა ამ საკითხზე, სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში გამოერდება IV საიუბილეო სპარტაკიადის მაგალითი, როცა ჩვენი ადგილიდან მსროლელების ბრწყინვალე წარმატება მრგვალ სტენდზე მსროლელებმა გააუფასურეს კომპლექსური ჩათვლაში.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები ზ. მაჩხანელი (მარცხნივ) და ტ. ყოენტი.

ხელბურთელთა III საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ორი ლიდერი

თბილისის სპორტის სასახლე. 7 დეკემბერი.

საქართველო — ბულგარეთი 22:15 (12:7).

საქართველო. ხუციშვილი (გაიტანა 1 გოლი), ექსეულიძე (2), ფხაკაძე (4), ცერცვაძე (8), ნედბაილო (1), ხიმჩიკაშვილი (1), სხიერელი (1), ითამაშეს, აგრეთვე, ზარდალიშვილმა (2), კიკაბიძემ (1), დვალიშვილმა, ბერიაშვილმა, ბუნაძემ და გაზდელიანმა (1).

ბულგარეთი. ხარლამბოსი, ლიპოშლიევი, გ. ანგელოვი (5), ალექსანდროვი (3), პენჩევი (1), იორდანოვი (1), ა. ანგელოვი (2). ითამაშეს, აგრეთვე, კრესტანოვმა, ხრისტოვმა (1), შტერევმა (1), ნიკოლოვმა (1).

მსაჯი — ლ. მარტა (უნგრეთი).

ბულგარელი ხელბურთელები ამ ორიოდე წლის წინათაც იყვნენ თბილისში. უნდა ითქვას, რომ ახლა მათი თამაშის კლასი უფრო სუსტი ჩანს. გუნდს არ გააჩნია რამდენადმე ძლიერი შემტევი ძალა, კოლექტივში არ არის ლიდერი, რომელიც გუნდის წევრებს აიყოლიებდა. მოოამაშეები ერთთავად იმის ცდაში არიან, რომ კარიდან უახლოეს დაშორებაზე — 6 მეტრზე გავიდნენ და იქიდან დაიწყონ გადამწყვეტი იერიში. თანაც, ბულგარელებს გადაჭარბებული სპორტული ენინ აქვთ, რომელიც ხშირად უხეშ თამაშში გადადის. მით უფრო გასაკვირია, რომ მსოფლიოს ახალგაზრდობის წლევანდელ ფესტივალზე მათ სსრ კავშირის ნაკრების დამარცხება შეძლეს.

ქართველი ხელბურთელებისთვის ბულგარელებთან თამაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეს ტაიმის დასაწყისშივე გამოჩნდა, როცა მასპინძლები „მშრალი“ ანგარიშით (4:0) დაწინაურდნენ. შემდეგ ბურევესტნიკელთა (ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში უმრავლესობას ბურევესტნიკელები წარმოადგენენ) ახალმა მწვრთნელმა, სპორტის საპატიო ოსტატმა ჯ. ბაგრატიონმა თამაშში გაბედულად ჩააბა შედარებით ნაკლებად გამოცდილი ხელბურთელები.

მასპინძელთა მეკარემ ა. ხუციშვილმა ორგვარი შთაბეჭდილება დატოვა: ერთის მხრივ, იგი შესანიშნავად იცავდა კარს და როცა ბულგარელთა მეკარე ანგარიშმიუცემლად ძალიან წინ გამოვიდა, ხუციშვილმა ბურთიც კი გაიტანა მეტოქის კარში; მეორეს მხრივ, ჩვენი მეკარე, რომელიც საერთოდ ძალიან ძლიერია პირველი იერიშის წამოწყებისას, ამჯერად ერთობ სუსტად ასრულებდა ამ მოვალეობას: მისი მიწოდებული ბურთი მეტოქეებმა ექვსჯერ „ჩაჭრეს“.

პოლონეთი — უნგრეთი 23:20 (9:9).

პოლონეთი. შიპკა, ვლაზო, ზავადა (9), პეტროვსკი (2), ლეხი (2), დიბოლი (2), სტრუუეკი (3). ითამაშეს, აგრეთვე, ნოვიკოვსკიმ (2), კრიგერმა (3) და ვახოვიჩმა.

უნგრეთი. ხორვატი, კლეინი (1), კალო (7), საბო, შიმო (3), ტაკაჩი, ვარგა (2). ითამაშეს, აგრეთვე, ვაშმა, მაროშმა (2), ხარკამ (4) და ხუნდიაკუფტმა (1).

მსაჯი — თ. ჩხარტიშვილი (სსრ კავშირი).

ბულგარელებმა საგრძნობლად აამაღლეს თამაშის კლასი. ისინი უცვლელი მონაწილენი არიან ამ ბოლო ხანს ევროპაში გამართული სერიოზული საერთაშორისო ტურნირებისა. სწორედ ამიტომ პოლონელებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს და მათი თამაში სანახაობრივად საინტერესო, მიმზიდველი გახდა. თვით ის ფაქტი, რომ მათ სტარტზევე დაამარცხეს „ზარია ვოსტოკას“ პრიზის ორგზის მფლობელი — უნგრეთის ნაკრები, პოლონელთა საკმაო ოსტატობაზე მეტყველებს. მართალია, უნგრელები თბილისში შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდნენ (მათს რიგებში არ არიან ფენიო, ადორიანუ და კოვაჩი), მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მათთან თამაში იოლი გახდა. გუნდს კარგი ახალგაზრდობა ჰყავს.

სსრ კავშირი — გდრ 33:23 (16:11).

სსრ კავშირი. ვილსონი, ხოლომკო (3), მაქსიმოვი (12), კლიმოვი (7), შაიუკი (5), პანოვი (1), ზდორენკო (1). ითამაშეს, აგრეთვე. ცაპენკომ, ზელენოვმა (2), გულბისმა, კოჟუხოვმა და ყურავლიოვმა (2).

გდრ. ფიშერი, ი. ჰილდებრანტი (2), მაისნერი (2), მიულერი (4), როუზე (2), ციტლერი (3), ჰ. ჰილდებრანტი. ითამაშეს, აგრეთვე. კლაცერმა (4), როსტმა (2), რუდოლფმა (1), ვიურდიკმა (1) და კერდშერმა (2).

მსაჯი — ი. რეგულა (პოლონეთი).

საბჭოთა კავშირის ნაკრების ახალ მწვრთნელს ი. გრინბერგასს ძალიან რთულ პირობებში მოუხდა ტურნირისთვის მზადება. ჯერ ერთი, იგი სულ ახლახან ჩაუდგა სათავეში გუნდს, მეორეც, ნაკრების წევრები ჯ. ცერცვაძე და ი. ფხაკაძე ამჯერად საქართველოს ხელბურთის ღირსებას იცავენ. ამან უთუოდ ერთგვარი დაღი დასვა საბჭოთა გუნდის თამაშს, მაგრამ მან გდრ-ის ნაკრებთან მატჩში მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

8 დეკემბერი.

საქართველო — გდრ 20:19 (12:12).

საქართველო. ხუციშვილი, ექსეულიძე, ფხაკაძე (7), ცერცვაძე (6), ნედბაილო (3), ბუნაძე (1), გაზდელიანი (1). ითამაშეს, აგრეთვე, ახაიშვილმა, ზარდალიშვილმა, ბერიაშვილმა, სხიერელმა (2) და ხიმჩიკაშვილმა.

გდრ. კლიმი, ი. ჰილდებრანტი (4), მაისნერი, მიულერი (3), როუზე (4), ციტლერი (3), ჰ. ჰილდებრანტი (1). ითამაშეს, აგრეთვე, ფიშერმა, კლაცერმა (3) და რუდოლფმა (1).

მსაჯი — ი. რეგულა (პოლონეთი).

ეასპინძლებს მართლაც ძალიან მძიმე ბრძოლა გადახდათ თავს. მატჩი სავსე იყო დრამატული მომენტებით. სტუმრები რამდენჯერმე 2-3 ბურთით დაწინაურდნენ. მე-17 წუთზე უხეში თამაშისთვის 5 წუთით გააძევეს სხიერელი. ყველა ელოდა, რომ გერმანელები ამ ვითარებას გამოიყენებდნენ, მაგრამ ჩვენებმა სწორედ ამ დროს იმარჯვეს და მეტოქეს დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალება არ მისცეს. ეს ხუთწუთიანი შერკინება ყაიმით დამთავრდა: მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს.

მეორე ტაიმში მასპინძელთა კარის დარაჯი აბაიშვილი იყო. ამ ნაცადმა ოსტატმა თავის თავს გადააჭარბა. თავდაუზოგავად იბრძოდნენ გუნდის დანარჩენი წევრებიც, რომელთა შორის გამოირჩეოდა ი. ფხაკაძე. ეს უკანასკნელი მარტო თავის ტრადიციულ, გარეშარბის როლში როდი იყო შეუდარებელი. მას ხშირად ნახავდით მოედნის ცენტრში, საიდანაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა მეტოქეს. ი. გრინბერგასმა, ამ სიტყვაძუნწშა და მუდამ თავშეკავებულმა კაცმა, ფხაკაძის თამაშით აღფრთოვანება ვერ დამალა და გულწრფელად მიულოცა წარმატება მატჩის გმირს.

შეხვედრის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, როცა ანგარიში საყაიმო იყო — 19:19. ბოლო მომენტში მასპინძელთა ლიდერმა ჯ. ცერცვაძემ გამარჯვების მაუწყებელი გოლი ჩვეული ოსტატობით გაიტანა.

პოლონეთი — ბულგარეთი 22:11 (10:6).

პოლონეთი. შიმჩეკი, ვლაზო (1), ზავადა (8), კრიგერი, პეტროვსკი, ლეხი (2), სტრუუეკი (4), ითამაშეს, აგრეთვე, შრპკამ, ნოვიკოვსკიმ (3), დიბოლმა (1), კშოუნუეკმა (1), ვლაზოვიჩმა და კუტკამ (2).

ბულგარეთი. კრესტანოვი, ა. ანგელოვი, იორდანოვი (3), პენჩევი, შტერევი (2). ალექსანდროვი (2), გ. ანგელოვი (3). ითამაშეს, აგრეთვე, ლიპოშლიევმა (1), ხარლამბოსმა, ნიკოლოვმა და სტაპენოვმა.

მსაჯი — ვ. ასტაბოვი (სსრ კავშირი).

ეოლონელებს ერთი ხაინტერესო დეტალი შეუნიშნეთ: ისინი თამაშს ერთგვარად დაბალ ტემპში იწყებენ, თავდაპირველად მეტოქეს უკვირდებიან, ეძებენ მის სუსტ მხარეებს, ხოლო შემდეგ, შეხვედრის მსვლელობაში, თანდათან ზრდიან ტემპსაც და მოიერიშე ძალასაც. მატჩის დასკვნით ნაწილში პოლონელთა მექანიზმი სულ უფრო შეუღდომლად მოქმედებს. ეს დეტალი მომავალმა მეტოქეებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინონ, რადგან ფიზიკურად ასე კარგად მომზადებულ გუნდთან შეხვედრის დასკვნითი ნაწილის ჩატარება ერთობ ძნელია.

სსრ კავშირი — უნგრეთი 19:13 (7:6).

სსრ კავშირი. ცაპენკო, ხოლომკო (1), მაქსიმოვი (6), ზელენოვი (1), კლიმოვი (3). შაიუკი (4), ზდორენკო. ითამაშეს, აგრეთვე, გულბისმა (1), ყურავლიოვმა, პანოვმა (3), კირიჩკომა და კოჟუხოვმა.

უნგრეთი. ლ. საბო, კლეინი, კალო (3), მაროში (3), შიმო (1), ხარკა (2), ვარგა. ითამაშეს, აგრეთვე, ი. საბომ, ხუნდიაკუფტმა, ტაკაჩმა, ჩიკმა და ვაშმა (4).

მსაჯი — ი. ცვეტკოვი (ბულგარეთი).

ბაქმეილს გატეხილი სჯობს და პირდაპირ უნდა ითქვას: ბულგარელმა მსაჯმა ი. ცვეტკოვმა თავი ვერ გაართვა არბიტრის მოვალეობას. ვერ ვიტყვით, რომ იგი რომელიმე გუნდის მიმართ მიკერძოებას იჩენდა, უბრალოდ, მისი მსაჯობა მეტისმეტად არაკვალიფიციური იყო. ალბათ სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ვერც ერთმა გუნდმა თამაში სათანადოდ ვერ ააწყო და ნაკრები გუნდების მწვრთნელებიც უკმაყოფილო დარჩნენ.

ჯ. ენუქიძე.

უნგრეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელები ა. მიკლოში (მარცხნივ) და ჯ. ბაგრატიონი. პირველი თავისებურად განიცდის ზედიზედ მეორე მარცხს, მეორე კი ზედიზედ მეორე გამარჯვების ნიშნად კიბის მეორე საფეხურზე ადის.

მეგობრული შარჟები შ. შანიძისა.

ᲥᲮᲘᲠᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

● კიევი, 8 დეკემბერი. აქ დაიწყო დამატებითი მატჩი რუსულ შაში რიგელ ი. ცინინგრადელ ი. სპასკაიას შორის სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის. როგორც პირველ, ისე მეორე პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ და მატჩის ანგარიში გახდა 1:1. სულ უნდა გათამაშდეს 6 პარტია.

● **რიგა, 8 დეკემბერი.** დღეს აქ სტარტი აიღო ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატმა. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რადიოტექნიკი“ და სსრ კავშირის ჩემპიონი — ტალინის „კალევი“. გაიმარჯვეს რიგელებმა — 3:0.

● **ჩელიაბინსკი, 8 დეკემბერი.** 25 ქალაქის 160-მდე მოვიდავეოკლასიკოსი“ მონაწილეობდა კოსმონავტ ვ. კომაროვის ხსოვნის პრიზზე გამართულ ტურნირში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ადგილობრივმა ათლეტებმა. კომაროვის პრიზი დაიმსახურა ნოვოსიბირსკელმა ვ. ზახაროვმა.

● **სოფია, 8 დეკემბერი.** ბულგარეთის დედაქალაქში გაიმართა ინტერვიზიის მიერ მოწყობილი საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გდრ-ის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. შეჯიბრების დეტალებით, ასპარეზობა შეეძლოთ მხოლოდ ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონებს. გაიმარჯვა ბულგარელმა კ. ფილიპოვამ — 29,15 ქულა. მას 0,1 ქულით ჩამორჩა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ნ. ოვჩინიკოვა. III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი უ. ლემანი. ბულგარეთის ტელევიზიის სპეციალური პრიზი დაისაკუთრა 13 წლის ინტერნატელმა მოსწავლემ ლ. ლეონტიევამ.

ᲯᲣᲯᲘᲜ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა III ტური. შეხვედრათა შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — პოლონეთი 19:16 (7:7), გდრ — ბულგარეთი 20:10 (8:4), საქართველო — უნგრეთი 25:22 (12:9), 3 ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირისა და საქართველოს გუნდები.

საჭადრაკო ფლის ფინიშზე

დიდოსტატ ლ. პოლუგაევსკის შინ მაშინ ვეწვივე, როცა იგი პარტიას აანალიზებდა. პატარა მაგნიტურ ჭადრაკზე გაწყობილი ჰქონდა პოზიცია ერთ-ერთი დაცვიდან...

— არა, — გაიღიმა დიდოსტატმა. — ჯერ ამ დაცვის ხსენება საჭირო არ არის. ეს ვარიანტი შეიძლება პირველივე შეხვედრაში გამომადგეს... თუმცა არც ამის შესახებ ღირს წერა. დაწერეთ უბრალოდ: ვემზადები უახლოესი შეჯიბრებისთვის. იგი იქნება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა გუნდური პირველობა, რომელიც 10 დეკემბერს რიგაში იწყება.

კითხვები მომავალი ბრძოლის ხასიათზე, გუნდების შანსებსა და მათ მომზადებაზე პოლუგაევსკისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა. მისი პასუხების ტონი ცხადყოფდა, რომ ყოველივე ამაზე ალბათ ბევრჯერ უმსჯელია „ბურევესტნიკის“ ნაკრებ გუნდს, რომელსაც იგი თავკაცობს.

— ვფიქრობ, გუნდური პირველობის სპეციფიკის გამო პროგნოზები სრულიად შეუძლებელია. გაიხსენეთ ქვეყნის წინა პირველობა. როგორ მრისხანენი ჩანდნენ და იყვნენ კიდეც „სპარტაკი“ ტ. პეტროსიანის თავკაცობით, „ტრუდი“ მ. ბოტვინიკისა და „ბურევესტნიკი“ ვ. სმისლოვის ხელმძღვანელობით. გაიმარჯვეს კი არმიელებმა, რომლებიც კლასიფიკაციის თვალსაზრისით ლიდერებს ჩამოუვარდებოდნენ. არმიელებს განსაკუთრებული სურვილი ჰქონდათ გამარჯვებისა. ჭადრაკში ამხანაგისგან კარგი პასის მოლოდინი ამაო ცდაა და გუნდის გამარჯვება ინდივიდუალური შედეგების ჯამია. და მაინც, იმარჯვებს ყველაზე მეგობრული კოლექტივი. ამ ფაქტორის შეფასება ბრძოლის დაწყებამდე ძალიან ძნელია.

პროგნოზები გართულებულია კიდევ იმით, რომ ყოველ მოწინავე კოლექტივს სერიოზული დანაკლისი უშლის სელს. „ტრუდში“ ვერ ითამაშებენ სხვა შეჯიბრებაში დაკავებული მ. ბოტვინიკი და ვ. კორჩნოი, „სპარტაკში“ — ტ. პეტროსიანი. „ბურევესტნიკის“ გუნდში არ გამოვა ვ. სმისლოვი, „ლოკომოტივში“ — ბ. სპასკი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოსტატთა ბანაკს. უპირატესად, ახალგაზრდებისას. ეს კარგიცაა: ნათელი გახდება, როგორ მუშაობენ სპორტსაზოგადოებები ახალგაზრდებთან. ეს საკითხი მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ ყოველი გუნდიდან ორ დაფაზე ჭამუკები და გოგონები ითამაშებენ.

პასუხს მაინც არ მოვერიდები და გაგიზიარებთ ჩემს შეხედულებას: ჩემპიონატის პირველი ჯგუფის 12 გუნდიდან, რიგაში რომ შეიკრიბებიან, ოქროს მედლების მოპოვების რეალური შანსი ხუთ გუნდს აქვს. ესენი არიან „ბურევესტნიკი“, რომელმაც „ისკრის“ სახელით გაიმარჯვა პირველ ჩემპიონატში 1952 წელს და ახლანდელი სახელით — 1961 წლის პირველობაში, „სპარტაკი“ — ქვეყნის 1954 წლის ჩემპიონი, 1966 წელს გამარჯვებული არმიელთა გუნდი, „ტრუდი“, რომელმაც 1964 წელს ყველას გაუსწრო და უკრაინის „ავანგარდი“.

მედლების განაწილებაში შესწორებებს შეიტანენ „ლოკომოტივი“, „დინამო“, რომელმაც პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა შესარჩევ შეხვედრაში „ზენიტთან“ გამარჯვებით და სხვა გუნდები: ესტონეთის „კალევი“ და „იუდი“, ლატვიის „დაუგავა“, ლიტვის „ჟალგირისი“, „მოლდოვა“. ყოველ შემთხვევაში, იოლად ვერავის დაამარცხებ.

ი. დამსკი,
სპორტის ოსტატი.

პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა...

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამ დღეებში დაამტკიცა ვაუთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა სია.

ტურნირში, რომელიც 29 დეკემბერს სტარტს აიღებს ალმა-ათაში, ითამაშებენ: დიდოსტატები, სსრ კავშირის ჩემპიონები მ. ტალი (რიგა) და ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), მოსკოვის ჩემპიონი დ. ბრონშტეინი, ა. ლეონი, ა. ზაიცევი (ორივე — რსფსრ), ი. ავერბახი, ე. ვასიუკოვი, ვ. ლიბერზონი (სამივე — მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატები ბ. გურგენიძე (თბილისი), ა. ლუტიკოვი (კიშინიოვი), ვ. ბაგიროვი (ბაქო), ბ. ოსნოსი (ლენინგრადი), ოსტატები ი. ზაიცევი (მოსკოვი), ი. პლატონოვი, ი. სახაროვი (ორივე — კიევი), მ. პოდგაეცი (ოდესა), ი. კლოვანი (რიგა), ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), ა. ჩერეპკოვი (ლენინგრადი) და ა. ნიკიტინი (მოსკოვი).

შეჯიბრების მთავარ არბიტრად დაინიშნა მოსკოველი ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. ბარანოვი.

საღამო კლუბში

გუშინწინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალის დამთავრებისადმი მიძღვნილი საღამო.

ტურნირის შედეგებსა და გორეულთა მასპინძლობაზე ილაპარაკა მემორიალის მთავარმა მსაჯმა თ. გიორგაძემ. საერთაშორისო ოსტატმა ბ. გურგენიძემ დამსწრეთ აჩვენა თავისი პარტია სომხეთის ჩემპიონ ლ. გრიგორიანთან, ოსტატმა ა. ბოკუჩავამ — დიდოსტატ მ. ტალთან და ლ. გრიგორიანთან.

საღამომ დიდი ინტერესი გამოიწვია. მალე მსგავს საღამოს მივუძღვნით ნ. ალექსანდრია — ა. ჩაიკოვსკაიას მატჩს.

ა. ბლაგიძე,
ცენტრალური საჭადრაკო კლუბის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი.

ბრავო, „ნა-ტა-ლი!“

ბუნი, 7 დეკემბერი. მოკლემეტრაჟიანი სპორტული ფილმი „ნა-ტა-ლი!“ ცნობილ ლენინგრადელ ტანმოვარჯიშეს ნატაშა კუჩინსკაიას ეძღვნება. ამ ფილმმა თავისი პირველი ნადავლი მოიხვეჭა ობერჰაუზენში (გფრ), სადაც ჩატარდა დოკუმენტური სპორტული კინოფილმების I საერთაშორისო ფესტივალი. და აი, კიევის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების კინოსტუდიის კოლექტივის ნამუშევარი ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს.

ამ ფილმმა ფესტივალის მთავარი პრიზები გაიყო ამერიკულ ფილმთან „ენდშპილთან“ (იგი „ბოსტონ სელტიკისა“ და „ცინციინატი როიალსის“ კალათბურთელთა შეხვედრაზე მოგვითხრობს), ჩეხოსლოვაკიურ „გლადიატორებთან“ (ეხება მოთამაშეთა და მაყურებლების ურთიერთობის თემას), პროფესიულ და სამოყვარულო გოლფზე გადაღებულ ინგლისურ ფილმთან „სანამ დაგარტყამდე, არ გაინძრე“.

ფერადი კინოპორტრეტი „ნა-ტა-ლი!“ ახალგაზრდა სპორტსმენის ყოველდღიურ მუშაობაზე, იმედებსა და ოცნებებზე მოგვითხრობს. ამ ფილმში ნატაშა კუჩინსკაია გამოცდილი მსახიობივით როდი თამაშობს: იგი ვარჯიშობს, გამოდის შეჯიბრებებში, ეწევა ჩვეულებრივ საქმიანობას, თითქოს კინოაპარატის ობიექტივი არც უყურებდეს. ფილმი გადაღებულია რეჟისორ ვ. საველიევის ჩანაფიქრის მიხედვით. საველიევია სცენარის ავტორიც. ოპერატორია ფ. გილევიჩი.

საინტერესოა, რომ „ნა-ტა-ლი!“ მაყურებელს პირველად მექსიკაში უჩვენეს XIX ოლიმპიური თამაშების დღეებში. მაშინ ბევრ სპორტის მოყვარულს შეეძლო შეხვედროდა „მეხიკოს პატარძალს“ არა მხოლოდ ეკრანზე, არამედ ტანვარჯიშულ ფიცარნაგზეც. ნატაშა კი იქ წარმატებით გამოდიოდა. მან ოქროს მედლები მოიპოვა გუნდურ პირველობაში და დვირზე, ბრინჯაოს 2 მედალი დაისაკუთრა აბსოლუტურ პირველობაში და თავისუფალი ვარჯიშისთვის.

ესეც სპორტია?!

ახლა უკვე ადარავის უკვირს ფეხბურთელი მღვდლების ამბავი, არავის აოცებს, რომ წირვა ელექტროგიტარების კვარტეტის აკომპანემენტზე ტარდება. მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ინგლისური ეკლესიის ახალგაზრდობის ფესტივალის გახსნის წინ ლონდონელმა ჟურნალისტებმა უჩვეულო „სასტარტო ცერემონიის“ საგანგებო ბილეთები მიიღეს.

... წმინდა პავლეს ტაძრის წინ, პატარა მოედანზე ინგლისელ პარაშუტისტებს წრე შეუკრავთ. ერთ-ერთ აივანზე ცისკენ ხელაპყრობილი დგას თავად ტაძრის მოძღვარი ხალვანი. შემდეგ მან მოაჯირზე გადადგა ფეხი და ... 12 მეტრის სიმაღლიდან გადახტა. მაგრამ სულიერი მამა არ დამტვრეულა, მსუბუქად დაეშვა ცოდვილ მიწაზე — იგი ხომ სპარაშუტო ტრენაჟერის დახმარებით ეშვებოდა. ასე აიღო სტარტი საეკლესიო ფესტივალმა. შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. ქადაგებას მუსიკის აკომპანემენტით კითხულობდნენ. ამ ექსცენტრულ სანახაობას მრევლთან ერთად ბევრი უქნარაც მოაწყდა.

ვ. ბიკოვი.

ფეხბურთი

ჩემპიონთა თასზე, თასების ფლიგელთა თასზე...

ჟენევაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალების კენჭისყრა. მოწინააღმდეგეები ასე დაწყვილდნენ:

ჩემპიონთა თასი. „აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია), „მილანი“ (იტალია) — „სელტიკი“ (შოტლანდია), „სპარტაკი“ (ჩეხოსლოვაკია) — აეკ (საბერძნეთი), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „რაპიდი“ (ავსტრია).

თასების მფლობელთა თასი. „ლიუნი“ (ნორვეგია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი), „კიოლნი“ (გფრ) — „ფრეია“ (დანია), „ტორინო“ (იტალია) — „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია), „დანფერმლაინი“ (შოტლანდია) — „ვეტტ ბრომვიჩი“ (ინგლისი).

წინსვლა საგრძნობია

გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ 1965 წელს დააწესა გარდამავალი პრიზი — „მხიარული დელფინი“, რომელიც სსრ კავშირის ბავშვთა ცურვის სპორტსკოლების დაუსწრებელ პირველობას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ტურნირი ყოველწლიურად ოთხ ეტაპად იმართება და ამ ეტაპების შედეგებს ცალ-ცალკე აჯამებს საკავშირო ჟიური.

თბილისში ამას წინათ დამთავრდა წლევანდელი რესპუბლიკური პირველობის IV ეტაპი, რომელიც „დინამოს“ საცურაო აუზში ჩატარდა. ასპარეზობაში მონაწილეობდა ნორჩი დინამოს, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, „განთიადისა“ და თბილისის განათლების განყოფილების 269 ფინალისტი (წინასწარ შეჯიბრებაში 937 ნორჩი მოცურავე ჩაება).

ყველაზე უკეთ ნორჩმა დინამოელებმა ისპარეზეს და გაიმარჯვეს კიდეც. მეორე იყო „განთიადის“ კოლექტივი, მესამე — განათლების განყოფილების გუნდი. ბოლო ადგილები დაიკავეს „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივებმა. მათი წარუმატებლობის მიზეზი ისაა, რომ „ლოკომოტივს“ არა აქვს საცურაო აუზი, ხოლო „შრომითი რეზერვების“ აუზი 1 აგვისტოდან 12 ნოემბრამდე რემონტის მიზეზით არ მუშაობდა, თუმცა, სინამდვილეში ნათურების მეტი არაფერი გამოუცვლიათ. ამის გამო ამ სპორტსაზოგადოების მოცურავეები მხოლოდ საერთო ფიზმომზადებაში ვარჯიშობდნენ და ამ ტურნირში მძლეოსნობაში კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. მაგალითად, ი. სოფრიგინმა თავის ასაკობრივ ჯგუფში (11-12 წლის ბიჭები) გამარჯვებულ დინამოელ ვ. გონჩაროვს 800 მეტრზე სირბილში 0,5 წამით მოუგო, ნ. რუხაძე კი გოგონათა შორის უძლიერესი იყო 300 მეტრზე რბენაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ I ეტაპთან შედარებით წინსვლა საგრძნობია. მაგალითად, დინამოელი მ. განჯიაშვილი, რომელიც 9-10 წლის ბიჭებში ასპარეზობდა, უძლიერესი იყო როგორც I, ისე IV ეტაპზე. I ეტაპზე მან 386 ქულა მოაგროვა (ეს შედეგი განჯიაშვილს IV ეტაპზე მხოლოდ V ადგილს მოუტანდა), ამჯერად კი 545 ქულა. ასეთი მაგალითების მოტანა სხვა ასაკობრივი ჯგუფებიდანაც შეიძლებოდა.

შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ 15-16 წლის ბიჭები. მართალია, სამივე პრიზიორს ბევრად უფრო მაღალი შედეგები აქვს, ვიდრე I ეტაპის პრიზიორებს ჰქონდათ, მაგრამ მათ მაინც 13-14 წლის ბიჭებმა აჯობეს.

ტურნირში ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა 11-12 წლის გოგონათა ჯგუფში მოასპარეზე ნორჩმა დინამოელმა, თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ კ. ყულიჯანოვამ, რომელმაც ჯერ კიდევ ამ ზაფხულს შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. იგი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებს შედეგებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყულიჯანოვამ I ეტაპზე მხოლოდ 899 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა, ახლა კი 1322 ქულით გამარჯვება იზეიმა.

ბევრ ნორჩ მოცურავეს (განსაკუთრებით, 9-10 წლის ბავშვებს) კვლავ უჭირს სასტარტო ხტომა და მობრუნება.

მძლეოსანთა შეჯიბრებას 40 ფინალისტმა აარიდა თავი, ბევრიც მხოლოდ ვალის მოსახდელად ჩაება მორბენალთა ტურნირში.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ყულიჯანოვა ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო ავტორისა.

IV ეტაპის პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

9-10 წლის გოგონები: გ. იოკიმიდი — 760 ქულა, ნ. გელაძე — 596, მ. კირდიანოვა (სამივე — ნორჩი დინამო) — 505; **ბიჭები:** მ. განჯიაშვილი („დინამო“) — 545, ე. შაიდულოვი (განათლების განყოფილება) — 544, დ. ელიზბარაშვილი („ლოკომოტივი“) — 483.

11-12 წლის გოგონები: კ. ყულიჯანოვა („დინამო“) — 1322, ი. პეტროსოვა („განთიადი“) — 990, ე. სუკიასოვა (განათლების განყოფილება) — 954; **ბიჭები:** მ. კილინკაროვი („დინამო“) — 1178, ი. ტოკარენკო (განათლების განყოფილება) — 1113, გ. დობორჯგინიძე („დინამო“) — 1025.

13-14 წლის გოგონები: ი. ზოტოვა („განთიადი“) — 1661, ტ. შელესტი (განათლების განყოფილება) — 1309, ლ. კონდრატიევა („დინამო“—1300; **ბიჭები:** ვ. გონჩაროვი („დინამო“) — 1873, ა. კლიმენკო (განათლების განყოფილება) — 1712, მ. წიქარიძე („დინამო“) — 1670.

15-16 წლის გოგონები: ი. ეფიმოვა — 1354, ი. ოვჩინიკოვა — 1243, ნ. კაკიაშვილი (ყველა — განათლების განყოფილება) — 1235; **ბიჭები:** ბ. გევორქოვი („დინამო“) — 1515, ა. ტრეგლაზოვი (განათლების განყოფილება) — 1218, ტ. ცაგარელი („დინამო“) — 1205.

მეექვსედ!

ბრატისლავა, 9 დეკემბერი. შვეიცის ჩოგბურთელებმა მეექვსედ გაიმარჯვეს სამეფო თასის გათამაშებაში, რომელიც ევროპის არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატად ითვლება დახურულ კორტებზე. ფინალში შვედებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ჰოლანდიელები, რომელთა ღირსებას მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოყვარული ჩოგბურთელი ტ. ოკერი იცავდა. სწორედ მან მოუტანა ერთადერთი ქულა თავის გუნდს — ფარ-ხმალი დააყრევინა უ. ბენგტსონს — 14:12, 6:4. III ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც დაამარცხეს დანიელები — 2:1.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14 УЕ 11129